# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—ორშაბათი, 7 თებერვალი 1900 წ. № 1037.

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

**„ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.**

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

**„ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“** (იანვრის წიგნიანად) **ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.**

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

## ახალი ამბავი

✦ კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ შაბათს, 5 თებერვალს, მომხდარ კრებაზე დაადგინა, რომ მოახდინოს წელს **ამიერ კავკასიის მეაბრეშუმეთა კრება** სხვა-და-სხვა კითხვათა გამოსარკვევად. კრება უნდა მოხდეს შემოდგომაზე.

✦ შაბათს, 12 თებერვალს, დანიშნულია კავკასიის **საბაღოსნო საზოგადოების წევრთა კრება.** კრებაზე განიხილება ყველა ის დადგენილებანი, რომლებიც მიიღო საზოგადოების გამგეობამ ქ.ქ. ქუთაისში, ნუხაში, ნახიჩევანში, შუშაში, გეოკჩაიში და ტფილისში მომხდარ მეაბრეშუმეთა კრებებისაგან.

✦ უკვე ერთი წელიწადია, რაც შეჩერებულ იქმნა მუშაობა **ტფილისის ქვა-ნახშირის** საზოგადოების მიერ. ეხლა ამ საზოგადოებას გარდაუწყვეტია კვლავ დაიწყოს მუშაობა და მიუმართავს მთავრობისათვის 400 ათასი მანეთი სესხი მოგვეცი საჭირო შენობათა ასაგებათ და საწარმოებელ თანხის შესადგენადაო.

✦ ჩვენ მივიღეთ **ახალი ქართული წიგნი** „ქართული მწერლობა. წიგნი I. მწერლობა მე-X საუკუნემდე“, მ. გ. ჯანაშვილისა. წიგნში 292 გვერდია და ღირს 40 კაპ.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**5 თებერვალი**

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, თანხმად პეტერბურგის საბჭოს უქვეშევრდომილესი თხოვნისა, ინება თანხმობის გამოცხადება—იწოდებოდეს მისი უმაღლესობა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი პეტერბურგის საპატიო მოქალაქედ.

უმაღლესად დამტკიცებულია განაჩენი სამხედრო ოლქის სამჯავროსი, რომლითაც ღენერალ-მაიორს ილოვაისკის, მისი უდიდებულების ყაზახთა პოლკის კომანდირობის დროს ჩადენილ დანაშაულისთვის, ჩამოერთვა აზნაურობა, ჩინები, ორდენები, განსაკუთრებული უფლებანი და იგზავნება ტომსკის გუბერნიაში და იმავე პოლკის საქმის მწარმოებელს პოდიასაულს კუნდრიუცკის ჩამოერთვა აზნაურობა, ჩინები, ორდენები, განსაკუთრებული უფლებანი და იგზავნება პერმის და ტომსკის გუბერნიაში.

უმაღლესის ბრძანებით, გარდაწყვეტილი სამხედრო ოლქის სასამართლოს მიერ სასჯელი მე-2 ბრიგადის მე-10 კავალერიის დივიზიის ღენერალ-მაიორი კოროჩენცოვის დანაშაულობათათვის, რომლებიც ჩაუდენია მას იმავე პოლკის უფროსად ყოფნის დროს და პოლკოვნიკ სალიუსაროვისა, უფროსის თანაშემწედ ყოფნის დროს ჩადენილ უწესოებათათვის, შეცვლილ იქმნა სამსახურიდან ორივეს დათხოვნით ჩინების ჩამოურთმევლად.

**ცზინ-ტაუ.** დასაცველად რკინის გზისა, ინჟენერებისა და ქონებისა გაგზავნილ იქმნა კიაო-ჩაუში 180 კაცი ორის ზარბაზნით. ეშინიანთ კაუმში აჯანყებულთა თავ-დასხმისა.

**ლორენცო-მარკეზე.** ბურების დეპეშა კოლსბერგიდან იუწყება: „შეერთებულმა ჯარებმა დღეს დილით დაუშინეს თოფ-ზარბაზნები ინგლისელთა მარჯვენა მხარეს. გენერალმა ლემერმა მოახერხა რამდენიმე გორაკის აღება, რომლებიც შეადგენდა უმთავრესს ადგილს ინგლისელთა პოზიციებისას. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. მოკავშირეთ მოუკლეს 9 კაცი, დაუჭრეს 14 და 5 ტყვედ წაიყვანეს. გრობლერისა და დელარეის პოზიციებთანაც ძლიერი ბრძოლა იყო. დელარეიმ გაარღვია ინგლისელთა მარჯვენა მხარე, დაიჭირა შესამჩნევი პოზიცია და გარეკა ინგლისელები ბანაკიდან. ინგლისელთ ბევრი დაჰკარგეს. ბრძოლის დროს ერთი ზარბაზანი წაართვეს ინგლისელებს, მეორე თვით ინგლისელებმა დასტოვეს. ინგლისელებმა ძლიერი სროლა გაუმართეს წართმეულ პოზიციებს; გენერალმა შემაშმა სროლითვე უპასუხა. ინგლისელთ დაჰკარგეს იმ ადგილას, სადაც ლემმერი იბრძოდა, ორას კაცამდე“.

**კაპშტადტი.** ბურებს განძრახვა აქვთ მიატოვონ მერფონტენი, რომ გაამაგრონ სხვა პოზიციები; დარჩენილთა რიცხვი სამოც და ათი ათასია.

**არუნდელი.** „რეიტ. სააგ.“ იუწყება, რომ ბურებმა დაიჭირეს რენსბურგი. მათი ძრიელი რაზმები დასავლეთისაკენ შენიშნეს; ცხადია, ისინი საძარცვავად მიდიან. აქამდე ბურებს ჯერ არ გამოუდგავთ წინ თავიანთი 40 გირვანქიანი ზარბაზანი. ბურების დიდი რაზმები საზოგადოდ არა სჩანს.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება, რომ ფრენჩი მწერს მას დილით შემდეგს: „მე სრულიად გავდევნე მტერი კიმბერლეის სამხრეთ მხარედან და ალექსანდრფონტენიდან ოლიფანტფონტენამდე. მე ვბანაკდები ახლა იმათ ტერიტორიაზე და ავიღე მტრის ბანაკი სურსათით და საომარ იარაღების საწყობებით. მთლად ჩვენი დანაკლისი 20 კაცია. კიმბერლეიში სუყველანი კარგად და მხნედ არიან“.

**კაპშტადტი.** 4 თებერვალი. ფრენჩმა წუხელ ღამ გაანთავისუფლა თავის ცხენოსანთა ჯარით კიმბერლეი.

პალატამ მიიღო დამატებითი კრედიტი 13 მილიონისა 213 ხმის უმეტესობით წინაარმდეგ 32-სა.

**იაკობსდალი.** ინგლისელებმა დაიპყრეს დღეს იაკობსდალი შემდეგ ბურების რამდენიმე წვრილ რაზმებთან შეტაკებისა. არტილერია ესროდა გარშემო ადგილებს და გარეკა დანარჩენი ბურებიც. ფრენჩის დივიზიამ დაიჭირა სამი ფონი მდინარე მოდდერისა. ერთ ფონთან ბურები ამოჭფარებოდნენ ძრიელ სიმაგრეს, მაგრამ არტილლერიის მიერ განდევნილ იქმნენ; მაშინ ფრენჩი მსწრაფლ წავიდა კიმბერლეისაკენ. ბურებმა მიატოვეს ალექსანდრფონტენი, რომელიც შემდეგ ინგლისელებმა დაიჭირეს.

რობერტსი შემდეგს იუწყება იაკობსდალიდან 4 თებერვალს: „სარწმუნო საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ბურებმა მიატოვეს სიმაგრეები მაგერფონტენთან და სცდილობენ თავს უშველონ. ფრენჩი ანთავისუფლებს კიმბერლეის ჩრდილოეთისაკენ მდებარე ადგილებს. ერთი ბრიგადათაგანი კელლი-კენნისა სდევნის საკმაოდ დიდს რაზმს ბურებისას, რომელიც ბლუმფონტენისაკენ მიემართება.“

**პრეტორია.** კოლსბერგიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ სამშაბათს კვლავ გაგრძელდა ბრძოლა; ინგლისელებს მოუკლეს და დაუჭრეს 60 და ტყვედ წაიყვანეს 80. მოკავშირეთა რესპუბლიკების ლაშქარს არა დაჰკლებია რა.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ პორტსმუტში დღეს ებრძანა სამ სამხედრო სათადარიგო გემს, სამს კრეისერს და ერთს მენაღმე გემს დაუყოვნებლივ დაიტვირთონ ნახშირით, რომ მზად იყოს გასასვლელად. ამ განკარგულების თანახმად, მთელი სათადარიგო ფლოტი, რომელიც პორტსმუტში სდგას, შეიძლება ბრძანებისათანავე შეკრებილ იქმნას გასასვლელად.

**პარიზი.** პალატამ უარ-ჰყო მრავალი შენიშვნები, რომლებიც შეეხებოდა ყმაწვილ კაცთა სამხედრო საქმეების შესასწავლად შეკრების შემცირებას, ანუ გადადებას 28 და 13 დღით, და პრინციპიალურად (307 ხმის უმეტესობით 215—წინააღმდეგ) მიიღო შენიშვნა დერულესი ბანაკთა დაარსების შესახებ, სადაც ხმელეთის სათადარიგო ჯარის-კაცნი უნდა იკრიფებოდნენ სავარჯიშოდ.

**პარიზი.** პალატა. სამხედრო ბიუჯეტის შესახებაა მსჯელობა. გალიფე ამბობს, რომ ბიუჯეტის სხვა-და-სხვა მუხლების შესახებ კამათის დროს მან უპასუხა მომხსენებელს პელეტანს კრიტიკაზედ, მაგრამ ახლა პროტესტს აცხადებს ბრალდების ზოგიერთ ადგილებზე, რომლებიც შეეხებიან ერთის პოლკის კასსისგან ფულის გაფლანგვის საქმეს (ტაშის ცემა და პროტესტი მემარცხენეთა) გალიფე დასძენს: „მხედრობა ღირსი არის ნდობისა. იგი მზად არის ყოველთვის, როდესაც საჭიროება მოითხოვს, გაილაშქროს გარეშე მტრის წინააღმდეგ და აგრეთვე მზად არის შინაურ მეამბოხეთ კანონები დააცვევინოს“. პელეტანი უპასუხებს, რომ მან მოიყვანა მხოლოდ რამდენიმე მაგალითი კერძო შეცდომებისა და რომ მინისტრს ეს ფაქტები უნდა დაერღვია. სოციალისტი ფურიერი თხოულობს, რომ დანიშნულ იქმნას საგანგებო კომისია პელეტანის მიერ მოყვანილ ფაქტების გამოსაძიებლად. ვალდეკ-რუსო წინააღმდეგობას აცხადებს, და ფულიერის თხოვნა უარყოფილ იქმნა 440 ხმით წინააღმდეგ 58.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ ინგლისისა და გერმანიის დეკლარაცია 1886 წ. სამოას შესახებ, თანასწორ უფლებას ანიჭებს ორივე სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ ამავე სახელმწიფოთა სამფლობელოებში წყნარ ოკეანეს დასავლეთით მხარეში.

დამატებითი კრედიტის შესახებ კამათის დროს კემპბალბანერმანმა გამოსთქვა, რომ ქვეყანა მზად არის მისცეს მთავრობას ყოველივე, რასაც მოითხოვს ომის სასურველად დაბოლოვება (ტაშის ცემაა). ორატორი დარწმუნებულია, რომ ის ღონისძიებანი, რომელნიც მთავრობას განუზრახავს, სრულიადაც არ მოასწავებენ საყოველთაო სამხედრო ბეგარის დაწესებას ინგლისში. „ჩვენი მფარველი ფლოტიაო“,—სთქვა ბანერმანმა (ტაშის ცემაა). სიტყვას ითხოულობს ბალფური: „სამხედრო სამინისტრომ და საზღვაო უწყებამ—ამბობს იგი—დიდი ხანია გარდასწყვიტეს, რომ საჭიროა სამი ახალი კორპუსის შედგენა ჩვენის ნავთ-სადგურების და არსენალების დასაცველად.“ ორატორს არ სჯერა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარიყოს ისეთი რამ, რაც თხოულობდეს ინგლისისაგან ჯარების მომატებას.

**ლონდონი.** რობერტსისაგან მოვიდა დეპეშა, რომლითაც ის იტყობინება ფრენჩის მისვლას კიმბერლეიში რობერტსი სწერს: „პირველის დაზვერის შემდეგ იაკობსდალთან ჩვენს ქვეითა ჯარს, როდესაც უკან ბრუნდებოდა, თავს დაესხა მტერი. ცხრა ჯარის-კაცი და ორი ოფიცერი დაჭრილია, ათი კაცი დაიკარგა უგზო-უკვლოდ“.

კიმბერლეის ჯარების უფროსი კეკევიჩი იტყობინება, რომ ბურებმა თავი დაანებეს ალექსანდერფონტს, რომელიც დაიჭირა კეკევიჩმა ფრენჩს ცოტა მოუკლეს. კლემანტრმა უკან დაიწია, რადგანაც ვერ გაუძლო ბურების მძლავრ იერიშს და აგრეთვე განიზრახა დაეცვა ნაუპორტი.

**კაპშტადტი.** პრეტორიუსი წაიყვანეს აქედან მოდდერ-რივერისაკენ, სადაც განთავისუფლებული იქმნება.

როგორც იუწყებიან რამუტსიდან 31 იანვარს, ინგლისის ჯარები თავს დაესხნენ სიმაგრე ელოპს იოჰანესბურგის რაზმმა, კაპიტ. დალვიგის წინამძღოლობით, უკან დააწევინა ინგლისელებს, რომელთაც ექვსი კაცი მოუკლა და 4 დაუჭრა. მოკლულთა რიცხვში არის კაპიტანი ფრენჩი. ბურებს ზარალი არ უნახავთ.

**ვაშინგტონი.** დღეს გარეშე სიქმეთა მინისტრმა გეიმ, გერმანიისა და ინგლისის ელჩებმა შესცვალეს სამოას შესახებ ხელ-შეკრულობა.

**ხარკოვი.** ქალაქ ბოგოდუხოვში ავაზაკთა ბრბომ მოჰკლა და გაძარცვა მდიდარი მემამულე ეოინო-იასენიცკაია.

**ლონდონი:** „სტანდარდტ“ს დეპეშით ატყობინებენ ვერდაიდან 3 თებერვალს: „დღეს აქ მივიღეთ ოფიციალური ცნობა, რომ ფრენჩი მისულა კიმბერლეიში და საღამოთი იქაურს კლუბში უსადილნია“.

სამხედრო სამინისტრომ მიიღო შემდეგი დეპეშა რობერტსისაგან: „მე დიდის სიამოვნებით დავათვალიერე გერმანელ ექიმთა მიერ მოწყობილი სავადმყოფოები. ისინი დიდს შემწეობას უწევენ როგორც ჩვენს, ისე ბურების დაჭრილთ. ზოგიერთი ინგლისელთაგანი ამ სავადმყოფოებში დეკემბრიდან იმყოფება, სხვები გუშინ ჩამოიყვანეს. მათი მდგომარეობა მშვენიერია. ამ სავადმყოფოებში წევს ორი აფიცერი და 35 ჯარის-კაცი.

**ლონდონი.** „დეილ მაილ“-ს ატყობინებენ ნაუპორტიდან 2 თებერვალს, რომ ინგლისელებმა გუშინ ღამ რენსბურგს თავი დაანებეს და დასტოვეს იქ დიდძალი სურსათი.

„დეილი ტელაგრაფ“-ს სწერენ ნაუპორტიდან პირველ თებერვალს: „დღეს ძლიერი ბრძოლა მოხდა რენსბურგთან. ბურების ჯარი აღემატებოდა ინგლისელებისას და შესდგებოდა დაახლოვებით 4000 კაცისაგან. ინნი სკილინსკის დრაგუნთა პოლკის სადარაჯო რაზმს გარს შემოერტყა 500 ბური, მაგრამ რაზმმა მამაცურად გაიკაფა გზა და არ დაუკარგავს არც ერთი კაცი. ახალის სამხრეთ-ვალისის ცხენოსან პოლკის ერთი როტა სრულიად ამოწყვეტილ იქმნა. ლახოცილ ჯარის-კაცთა დასისხლიანებული ხიშტები ამტკიცებენ, რომ მეომართ სასტიკი ბრძოლა ჰქონიათ მტერთან. 5 ოფიცერთაგან დაბრუნდა მხოლოდ 1. გარდაწყვეტილია ჯარების დაწევა არუნდელისაკენ. 9 დაჭრილი აფიცერი და 15 ჯარის-კაცი ჩამოიყვანეს ნაუპორტის სავადმყოფოში. მოკლულთა რიცხვი ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი“.

**იაკობსდალი.** კრონიე 10,000 კაცით უკან იწევს ბლუნფონტენისაკენ. ინგლისელები კვალში მისდევენ.

**შანხაი.** დღეს გამოიცა ბრძანება, რომ 100,000 ტაელი მიეცემა მას, ვინც ცოცხალს ან მკვდარს წარუდგენს მთავრობას ჩინეთის 2 შესანიშნავ რეფორმატორს, კონ-იუ-ვეის და ლანს. ნანდუნში უწესოება არ მოსპობილა. აჯანყებულებმა შეაჩერეს რკინის გზაზედ მუშაობა და განაძევეს უცხოელი ტეხნიკები. არ სჩანს, რომ პეკინის ან შანდუნის მთავრობა რაიმე ღონისძიების მიღებას აპირებდეს ამბოხების მოსასპობლად.

6 თებერვალი

**პარიზი.** მაჰმუდმა და ორმა შვილმა დასტამბეს გაზეთებში წერილი, რომელშიაც უარს ჰყოფენ ხმას, ვითომც ისინი სტამბოლში აპირებდნენ დაბრუნებას.

**იაკობსდალი.** რადგანაც ხარები დაიქანცნენ და ზარბაზნები ვეღარ ზიდეს, კრონიე იძულებული გახდა შეჩერებულიყო. მისს ბანაკს ინგ. გენერალმა კელლი-კენნიმ დაუშინა ზარბაზნები.

**ლონდონი.** „ევენინგ ნიუს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედან, რომ იქ მოვიდა ცნობა ბურების ბანაკიდან: ბულლერი ხელმეორედ თავს დაესხა ვაალ-კრონცის სიმაგრესო. ეხლაც სასტიკი ბრძოლა არის; ბურები ჯერ კიდევ თავის პოზიციაზე სდგანან. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია სტერკსტრომიდან მოსული ცნობა, რომ ბურები წავიდნენ ინგლისელთა პოზიციებისაკენ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. გრაფი გლეკრაევენი საკმარისად არა სთვლის მთავრობის პროექტებს. როზბერი ეთანხმება მას: „სხვა ერებმა უკეთ იცოდნენ ინგლისის მდგომარეობაო, — სთქვა მან,—ვიდრე თვით ინგლისმა. ინგლისს არ შეეძლო იმედი ჰქონოდა უცხო სახელმწიფოთა თანაგრძნობისა“. ორატორი უთითებს სპარსეთზე და ამბობს, რომ ინგლისს უწინ შეეძლო ეთქვა თავისი სიტყვა სპარსეთში. ლანდსტოუნი ამბობს, რომ რობერტს არ მოუთხოვნია ახალი ჯარებიო, მაგრამ რომ დასჭირებოდა, უთუოდ მიიღებდა კიდეც. სალისბიური ამბობს: „შეუძლებელია აქ ჩვენ ვილაპარაკოთ და ვაძაგოთ ომის წეს-რიგი, რადგანაც აქ არ არიან ისინი, ვისაც შეუძლიან ამ წეს-რიგის დაცვა. ჩვენი მამა-პაპა არასოდეს სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა, როდესაც ინგლისი ომის დაწყებისას ცუდს მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხოლმე; ამიტომ არც ჩვენა გვმართებს უიმედოთ ყოფნა. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ომი სასურველად დაბოლოვდება (მოწონების ხმები).

**ძაირი.** აქ მოვიდა საფრანგეთის ექსპედიცია ტონგედისა.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება იაკობსდალიდან 5 თებერვალს, რომ კელლი-კენნიმ გუშინ წაართვა ბურებს 78 ფურგონი სურსათით. ორი მათგანი დატვირთული იყო მაუზერის თოფებით, 7 ყუთი—ყუმბარებით და ათი ბოჩკა—ასაფეთქებელი წამლით.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

გამოც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Февраля, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ნა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.